საქართველოს 2022 - 2025 წლების საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის გავლენა საქალაქთაშორისო მიკროავტობუსებზე

გოგიტა მეგრელიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: არჩილ აბაშიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაგისტრანტი - გოგიტა მეგრელიშვილი

19.06.2025.

სარჩევი:

განაცხადი 2

აბსტრაქტი 2

Abstract 3

შესავალი 4

ლიტერატურის მიმოხილვა 12

საგზაო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების ხარისხი 22

ავტოსატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევები 25

სასწრაფო სამედიცინო დახმარების სისტემა 29

პროექტის როლი ქვეყნის განვითარებაში 32

ევროკავშირისა და გაეროს ჩართულობა პროექტის განხორციელებაში 38

ტურიზმის როლი ქვეყნის განვითარებაში 39

ჭკვიანი კამერები 41

მეთოდოლოგია 44

რაოდენობრივი კვლევის შედეგები 46

თვისებრივი კვლევა 54

დასკვნა და რეკომენდაციები 56

გამოყენებული ლიტერატურა: 56

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია საქართველოს მთავრობის მიერ 2022 – 2025 წლების მოქმედი საგზაო უსაფრთხოების სტრატეგიის გავლენა საქართველოში არსებულ საქალაქთაშორისო მიკროავტობუსებზე. კონკრეტული სტრატეგია ამოქმედდა 2022 წლის 4 ივლისს შესაბამისად სწორედ ამ დროიდან მოყოლებული 2025 წლის 15 ივნისის ჩათვლით პერიოდზე იქნება ნაშრომში საუბარი. მოცემული კვლევის მიზანი გახლდათ შემდეგი - ახდენს თუ არა ეს კონკრეტული საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია გავლენას საქართველოში არსებულ საქალაქთაშორისო მიკროავტობუსებზე.

აღნიშნული ჰიპოთეზა გადამოწმდა როგორც რაოდენობრივი ისე თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. ჩატარებულ რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობდა საქალაქთაშორისო მიკროავტობუსების 38 მძღოლი. ხოლო რაც შეეხება თვისებრივ კვლევას ამ შემთხვევაში სიღრმისეული ინტერვიუ ამავე სფეროს 10 წინასწარ შერჩეულ მარშრუტის მძღოლთან ჩატარდა. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ბათუმის, ქუთაისის, ზუგდიდის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, გორის, ბაკურიანის, რუსთავის, მარნეულის და თელავის მიკროავტობუსების ჯამში 48 მძღოლმა, რომლებიც რეისებს თბილისიდან ასრულებენ ხოლმე.

კვლევების შედეგების საფუძველზე დადასტურდა რომ საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემულ 2022 – 2025 წლების საგზაო უსაფრთხოების ეროვნულ სტრატეგიას დადებითი გავლენა აქვს საქალაქთაშორისო მიკროავტობუსებზე.

ნაშრომში ასევე განხილულია: ევროკავშირისა და გაეროს როლი პროექტის განვითარებაში, საგზაო უსაფრთხოების გამოწვევები, ყოველწლიური ჯარიმების რიცხვი

კატეგორიების მიხედვით, ამასთანავე ნაშრომის ბოლოს მოცემულია დასკვნა და რეკომენდაციები.

Abstract

This paper examines the impact of the Georgian Government's 2022–2025 Road Safety Strategy on intercity minibuses operating in Georgia. The specific strategy was enacted on July 4, 2022, and the paper focuses on the period from that date through June 15, 2025. The aim of the research was to determine whether this particular national road safety strategy has an effect on intercity minibuses in Georgia.

The hypothesis was tested using both quantitative and qualitative research methods. The quantitative study involved 38 intercity minibus drivers. As for the qualitative research, in-depth interviews were conducted with 10 pre-selected drivers operating specific routes. A total of 48 drivers took part in the research, representing minibuses from Batumi, Kutaisi, Zugdidi, Akhaltsikhe, Akhalkalaki, Borjomi, Gori, Bakuriani, Rustavi, Marneuli, and Telavi — all of whom regularly operate routes departing from Tbilisi.

Based on the research findings, it was confirmed that the 2022–2025 National Road Safety Strategy issued by the Government of Georgia has had a positive impact on intercity minibuses.

The paper also discusses: the role of the European Union and the United Nations in the development of the project; road safety challenges; the number of annual fines by category; and, at the end of the paper, conclusions and recommendations are presented.